# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | თბ „ხვამლი“ - სტეფანწმინდას „ყაზბეგი“ | | |
| გუნდი | თბ „ხვამლი“ | შეჯიბრი | დიდი 10 |
| მატჩის თარიღი | 21/10/2023 | მატჩის ადგილი | თბილისი, ხვამლი არენა |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| სტატუსი | მოთამაშე | დაბადების თარიღი | 01/03/1999 |
| სახელი, გვარი | ლუკა გელაშვილი | | |
| ☒მსაჯი<br>☐საითინგ კომისარი | საბა მახარაძე | დარღვევა | ☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია |
| დარღვევა | 9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა | ☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 24/10/2023 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ლევან ჩიკვაიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი ☐ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | თბ „ხვამლი“-ს მენეჯერი - ნუგზარ მალაღურაძე. | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;<br>ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; | | |

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;
ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

თბ „ხვამლი"-ს მოთამაშემ, ლუკა გელაშვილმა აღიარა დარღვევა, დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას მისი ქმედების წითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ და წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო. მისი განცხადებით შეჯახება მოხდა წინასწარი განზრახვის გარეშე და ის ყველანაირად ეცადა თავიდან აეცილებინა ბოჭვის წესების დარღვევა, მაგრამ მოწინააღმდეგის უეცარი მოძრაობის გამო ეს ვერ მოახერხა.

**ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა**

1. 21/10/203 გაიმართა დიდი 10-ს VI ტურის მატჩი თბ „ხვამლი"-სა და სტეფანწმინდას „ყაზბეგს" შორის.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება) – „თამაშის 45 წუთზე „ხვამლის" 5 ნომერი აკეთებს გამართულ ბოჭვას თავით თავთან კონტაქტით. მოთამაშე არის მუდმივად გამართული, დარტყმის ძალა და სისწრაფე არის მაღალი და არ ყოფილა შემამსუბუქებელი გარემოება, რის გამოც დაისაჯა წითელი ბარათით."
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - „ხვამლი"-ს მოთამაშე, ლუკა გელაშვილი გამართულ მდგომარეობაში მიდის მოწინააღმდეგის შესაბოჭად და ცდილობს ხელების მოხვევას ბოჭვისას, უშუალოდ ბოჭვის წინ ბურთიანი მოთამაშე უეცრად იცვლის სხეულის მდგომარეობას (იმართება წელში). მოთამაშეები თავდაპირველად ერთმანეთს ეჯახებიან მხრებით/მკერდით რის შემდეგაც ხდება ბურთიანი მოთამაშის შუბლის კონტაქტი მბოჭავის სახესთან(ყბაში). შეჯახების შედეგად არასწორად შებოჭილი „ყაზბეგი"-ს მოთამაშე სამედიცინო დახმარების გარეშე აგრძელებს თამაშს.

**მსჯელობა**

სადისციპლინო კომისიამ განიხილა და იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და თავი შეიკავა დამრღვევი მოთამაშის შემდგომი სანქცირებისგან. სადისციპლინო კომისია მოთამაშის მოედნიდან წითელი ბარათით გაძევებას მიიჩნევს საკმარის სასჯელად.

| გადაწყვეტილება | | | |
|---|---|---|---|
| **დარღვევის სტატუსი:** | ☒ მიღებულია | ☐ უარყოფილია | ☐ სხვა (აღწერეთ) |

| სანქცირების პროცედურა | |
|---|---|
| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული<br>**დარღვევის სიმძიმის შეფასება** | |
| ☐ შეგნებული/წინასწარ განზრახული | ☒ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი |
| დარღვევის სახის დადგენის საფუძველი | |
| ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა | |
| დამრღვევის მოქმედების სიმძიმე: | |
| დაბალი სიმძიმის | |
| მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): | |
| | |
| ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას: | |
| | |
| სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული: | |
| | |
| მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): | |
| | |
| რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): | |
| | |
| დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე | |
| | |

| |
|---|
| დაშავებულის დაცულობის ხარისხი |
| |
| დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; |
| |
| შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; |
| |

| |
|---|
| **დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით** |
| ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი კვირა ქვედა ზღვარი კვირა |

**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

| | |
|---|---|
| დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; | დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია; |
| | |
| მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა; | ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; |
| | |
| დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო; | ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება |
| | |

**დაკლებული კვირების რ-ბა:**

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

| |
|---|
| მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; |
| |
| დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; |
| |
| ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; |
| |

**დამატებითი კვირების რ-ბა:**

# სანქცია

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) | | ☒ წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები. | | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 25/10/2023 |

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**